დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

აპრილი, 2024

ნიუ-იორკში საბავშვო ვოკალური სტუდიის „ციცინათელა“ კონცერტი გაიმართა

2 აპრილს, ქ. ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, ქართული კულტურის ცენტრთან „ფესვები“ (ხელმძღვანელი ნინი წიკლაური) არსებული საბავშვო ვოკალური სტუდიის „ციცინათელა“ კონცერტი გაიმართა. სტუდიის მოწაფეებმა, პირველად ცოცხალი ბენდის თანხლებით, შეასრულეს ყველა თაობის გენიალური ქართველი კომპოზიტორების სიმღერები.

ასოციაციამ „ქართული სახლი“ თავისუფალი თეატრის დასს უმასპინძლა

4 აპრილს, ქ. ბარიში, თეატრში „დუსე“, ასოციაციის „ქართული სახლი“ (ხელმძღვანელი ჯანო ლიკლიკაძე) ორგანიზებით, თბილისის თავისუფალი თეატრის მსახიობებმა რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლი „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“ წარმოადგინეს. სპექტაკლმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.
წარმოდგენას ქართული დიასპორის და ქ. ბარიში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შტუტგარტში ქართველი ემიგრანტების შემოქმედებითი საღამო გაიმართა

6 აპრილს, ქ. შტუტგარტში, საქართველოს გენერალურმა საკონსულომ ქართველი ემიგრანტების შემოქმედებით საღამოს „ვარდისფერი ყოჩივარდები“ უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო მარიამ ჭიღლაძის პოეზია და ლელა შანშაშვილის მხატვრობა. საღამო მუსიკალურად გაამდიდრა ანსამბლმა „შინი“, რომელიც აუდიტორიის წინაშე განახლებული რეპერტუარით წარსდგა. მარიამ ჭიღლაძე და ლელა შანშაშვილი სტუმრებს თავიანთ შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე თავად ესაუბრნენ.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით წარსდგნენ ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ღვაჩლიანი და ქ. მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური, მამა თამაზი. ღონისძიებას, ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლებთან ერთად, ესწრებოდნენ ქართული დიასპორისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.



საბერძნეთში „დიონისეს“ დასმა მორიგი წარმატებული სპექტაკლი წარადგინა

7 აპრილს, ქ. ათენის მოსხატოს კულტურის ცენტრის თეატრში, ქალაქის მერის, ანდრეა ეფთიმიუს მხარდაჭერით, ქართულ-ბერძნული თეატრალური ორგანიზაცია „დიონისე“ (ხელმძღვანელი თამარ სამხარაძე) ხარების დღესასწაულზე მაყურებელის წინაშე ჟან ბატისტ მოლიერის კომედიით „ძალად ექიმი“ წარდგა.
სპექტაკლს ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით კორძაძე, საელჩოს თანამშრომლები, ათენში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციების წევრები და მოწვეული სტუმრები - საბერძნეთის კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები.

სტოკჰოლმში 9 აპრილს დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა

9 აპრილს, ქ. სტოკჰოლმში, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს მონაწილეობით, წმინდა გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური სამრევლოს მღვდელმა, მამა ნიკოლოზმა, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.
პანაშვიდს ესწრებოდნენ შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ხუცურაული, ასევე, შვედეთში არსებული ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

შეხვედრა უნგრეთში ქართველ სტუდენტებთან

10 აპრილს, უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ლილუაშვილი ქ. ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩი შეხვდა კორვინუსის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ლაიოშ დიორდი საბოს და ვიცე-რექტორებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და აკადემიური განვითარების საკითხებში. მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე და უმაღლესი განათლების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკაზე, ხაზი გაესვა კორვინუსის უნივერსიტეტის მზარდ პოპულარობას ქართველ სტუდენტებს შორის.
საქართველოს ელჩმა უნივერსიტეტის რექტორს მადლობა გადაუხადა ქართველი სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების და მათთვის ადმინისტრაციული პეოცედურების მოგვარების საქმეში ხელშეწყობისთვის. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩი ასევე შეხვდა კორვინუსის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს.

წმ. გიორგის საკვირაო სკოლაში გაკვეთილი „გვახსოვდეს 9 აპრილი“ ჩატარდა

10 აპრილს, ასოციაციასთან „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ (ხელმძღვანელი ვალერი შარიპოვი) არსებულ წმ. გიორგის საკვირაო სკოლამ 9 აპრილს დაღუპულ გმირთა ხსოვნას და დამოუკიდებლობის დღეს სპეციალური გაკვეთილი, სახელად - „გვახსოვდეს 9 აპრილი“ მიუძღვნა. გაკვეთილი, რომლის მიზანი გახლდათ მოსწავლეებისათვის დეტალურად გაეცნოთ საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი, აეხსნათ 9 აპრილის მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლაში, გაეღვივებინათ ახალგაზრდებში სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა დაღუპული გმირებისადმი, ჩაატარა საკვირაო სკოლის პედაგოგმა, ხათუნა კურტანიძემ. სპეციალურად ამ გაკვეთილისთვის სკოლის მოსწავლეებმა მოამზადეს ლოზუნგები და ნახატები თემაზე „ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი“.

ბარსელონაში კალიგრაფიის ფესტივალი ჩატარდა

13 აპრილს, ქ. ბარსელონას წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართულ საკვირაო სკოლაში, ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოს წინამძღვარის არქიმანდრიტ ლუკას (ფალავანდიშვილი) კურთხევით, კალიგრაფიის ფესტივალი „ანიდან ჰოემდე...“ ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ ჯგუფები „ციცინათელები“, „მერცხლები“, „განთიადი“, „ბახტრიონი“, „მარტყოფი“ და „მარაბდა“. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართულ ენისადი მიძღვნილი ლექსები და იქვე შეასრულეს უნიკალური ქართული ანბანის მაღალი კალიგრაფიული ნიმუშები.

ისრაელის ქართულმა საკვირაო სკოლამ „მამული“ დედაენის დღე აღნიშნა

13 აპრილს, ისრაელში ქართულმა საკვირაო სკოლამ „მამული" (ხელმძღვანელი არჩილ ხუციშვილი) ტრადიციულად აღნიშნა დედაენის დღე. ქ. ბათიამის მერის მოადგილემ დავით პაპაიამ და ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა, ნიკოლოზ ჩალოევმა საკვირაო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს მშობლიური ენის დღესასწაული მიულოცეს.
საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა დამსწრე საზოგადოებას მინი-სპექტაკლი „ქართული ენა" წარუდგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ისრაელში ქართველ-ებრაელთა თემის და ქართული დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მადრიდში დედაენის დღის აღსანიშნავად კონცერტი გაიმართა

13 აპრილს, ქ. მადრიდის კულტურის ცენტრში, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელსაც 300-მდე სტუმარი დაესწრო. კონცერტში მონაწილეობა მიიღო მადრიდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გუნდმა „იადგარი“, ანსამბლმა „ფესვები“, ეკლესიასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ „აისი“, ალკობენდას საკვირაო სკოლამ „ბელურა“ და მასთან არსებულმა ხალხური საკრავების სტუდიამ, ქართული ცეკვების აკადემიამ „ჯორჯია“, ტრიომ „სიმები“ და ცალკეულმა ქართველმა მუსიკოსებმა. ღონისძიების მონაწილეებმა წაიკითხეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები, შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვები, ასევე, კლასიკური მუსიკა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, აჟღერდა კომპოზიტორ გია ყანჩელის კომპოზიცია.

ქართულ დიასპორას დედაენის დღე მიულოცეს ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ნატო ჩიქოვანმა და ესპანეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ.

საკვირაო სკოლამ „ფესვები“ დედაენის დღე აღნიშნა

13-14 აპრილს, ქ. რენში მოქმედ ქართულ ასოციაციასთან „მსოფლიოს ხალხები“ (ხელმძღვანელი ქეთევან ავალიანი) არსებულმა საკვირაო სკოლამ „ფესვები“ ტრადიციულად დედაენის დღე აღნიშნა. სკოლის აღსაზრდელებმა დედაენის ზეიმზე წაიკითხეს საბავშვო მწერლის, გივი ჩიღვინაძის ლექსები წიგნიდან „ანბანთქება“. ამასთან ერთად, სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ხელით გაფერადებული ანბანიც.

ათენის ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციაში დედაენის დღე აღინიშნა

14 აპრილს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციაში (ხელმძღვანელი ხატია ქარსაულიძე) დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ასოციაციასთან არსებული, დავით გურამიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა და ხელოვნების სტუდია, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ივერიელები“ და ქართულ გაზეთთან „ელადა“ არსებული ლიტერატურული სალონი. დედაენისადმი მიძღვნილ ზეიმზე ასევე ჩატარდა ხელოვნების სტუდიის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, კალიგრაფიის კონკურსი, ლიტერატურული სალონის სემინარი და ანსამბლ „ივერიელების“ კონცერტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით ჯალაღანია, საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე და საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

„ათენის ქართული სახლი“ დედაენის დღეს აღნიშნავს

14 აპრილს, ქ. ათენში, ორგანიზაციის „ათენის ქართული სახლი“ (ხელმძღვანელი დარეჯან ღამბაშიძე) ორგანიზებით დედაენის დღე აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში ორგანიზაციასთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა კონცერტი გამართეს, ხოლო ილია ჭავჭავაძის სახელობის კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ასომთავრულით დაწერილი ამონარიდები კლასიკური და თანამედროვე ქართული პოეზიიდან. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ათენში მოღვაწე, ისე საქართველოდან სპეციალურად ჩასულმა ქართველმა პოეტებმა. მათ დამსწრე აუდიტორიას წაუკითხეს საკუთარი ლექსები და შეასრულეს ქართული სიმღერები.

ღონისძიებაზე მოეწყო ათენში მცხოვრები ქართველი ხელოვანის, შალვა კამლაძის საავტორო პროგრამის - „ერთი ლექსი კალიგრაფიაში“ - ფარგლებში, ქართველი მწერლების: ოტია იოსელიანის, მერაბ კოსტავასა და ანა კალანდაძის ლექსების კალიგრაფიულად შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ათენში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საკვირაო სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები, ქართველი ემიგრანტები, ასევე, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით ჯალაღანია, საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე და უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე. საღამოზე ქართველმა დიპლომატებმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ხაზი გაუსვეს ქართველებისთვის დედაენის დღის აღნიშვნის მნიშვნელობას, აგრეთვე, მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

ალიკანტეში მიხეილ ღანიშაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

14 აპრილს, ქ. ალიკანტეში მოქმედმა დიასპორულმა ასოციაციამ „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ (ხელმძღვანელი მანანა გოგოლაძე) დედაენის დღესთან დაკავშირებით მწერალსა და პოეტს, მიხეილ ღანიშაშვილს უმასპინძლა. ავტორმა დამსწერე საზოგადოებას საკუთარი პოეზია გააცნო და პატარებს ქართული ენის მნიშვნელობაზე ესაუბრა.
ღონისძიების ფარგლებში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს დისტანციურად მიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, მირიან ხოსიტაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ქართული ენის მნიშვნელობაზე და 1978 წლის 14 აპრილს განვითარებულ მოვლენებზე.

ვაშინგტონში ქართული ლიტერატურის საღამო გაიმართა

14 აპრილს, ქ ვაშინგტონში, საქართველოს საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „აშშ-ში ქართული ასოციაცია“ ინიციატივით მოწყობილ, ქართული ლიტერატურის საღამოს უმასპინძლა. პროექტის ფარგლებში, საქართველოს საელჩოში პერიოდულად იმართება ასეთი საღამოები. წლევანდელი შეკრება მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა და პუბლიცისტური წერილების განხილვას. საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით ზალკალიანმა. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო ინიციატივისთვის და დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების განხილვაში მიიღო მონაწილეობა.
„აშშ-ში ქართული ასოციაციის“ აღნიშნულ ინიციატივას საფუძველი სამი წლის წინ ჩაეყარა. გასულ წლებში, პროექტის ფარგლებში, დისკუსიები გაიმართა გურამ დოჩანაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ნინო ხარატიშვილის ნაწარმოებების გარშემო.

ესტონეთში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა

14 აპრილს, ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ესტონეთის რესპუბლიკაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლის „მზიური“ მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ღონისძიების მიზანი იყო ესტონეთში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობაში ქართული ენისა და კულტურის სიყვარულის გაღვივება და ცოდნის გაღრმავება. შეკრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და დედაენის დღის ისტორიულ მნიშვნელობაზე ესაუბრა ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ ხამაშურიძე. საკვირაო სკოლის ხელმძღვანელმა ქეთევან ფალელაშვილმა ხაზი გაუსვა ქართული დიასპორის როლს მშობლიური ენის დაცვის საქმეში. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ნიმუშები.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა საკვირაო სკოლის ხელმძღვანელს, ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროს, ესტონეთში არსებულ დიასპორულ ორგანიზაციებს, ასევე, ტალინის ცენტრალური ბიბლიოთეკის ქართული ფილიალის წარმომადგენლებს, დედაენის დღის ღონისძიებაში აქტიური ჩართვისთვის. საელჩომ ქეთევან ფალელაშვილს საჩუქრად 1978 წლის 14 აპრილის, საქართველოში ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის დასაცავად განვითარებულ მოვლენებისადმი მიძღვნილი წიგნი გადასცა. საჩუქრები აგრეთვე გადაეცათ საკვირაო სკოლის მოსწავლეებს.

საკვირაო სკოლამ „პატარა საქართველო em Portugal“ დედაენის დღე აღნიშნა

14 აპრილს, ქ. ლისაბონში, ასოციაციასთან „ქართული სახლი პორტუგალიაში“ არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „პატარა საქართველო em Portugal“ (ხელმძღვანელი ია ბექაური) დედაენის დღე აღნიშნა.

საკვირაო სკოლამ „ლამპარი“ დედაენის დღე აღნიშნა





14 აპრილს, ქ. დუბლინის ქართულ საკვირაო სკოლაში „ლამპარი“ დედაენის დღე აღნიშნეს. საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები და სიმღერები, უყურეს სპეციალურად მომზადებულ საინფორმაციო-შემეცნებით ვიდეორგოლს, დაათვალიერეს სხვადასხვა დროს გამოცემული „დედაენა“ და ასომთავრული ანბანით დაწერეს ილიას გამონათქვამები.

ღონისძიების მიზანი იყო საკვირაო სკოლის მოსწავლეებისათვის ქართული ენის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, მომავალ თაობაში მშობლიური ენის შენარჩუნება და სიყვარულის გაღვივება.

პარიზში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

14 აპრილს, ქ. პარიზში, ასოციაციამ „ქართველთა კულტურის კერა - ლაზი“ (ხელმძღვანელი ეკა ბოდოკია) ტრადიციულად დედაენის დღე აღნიშნა.

ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს ასოციაციასთან არსებული ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფებმა, ასოციაციასთან არსებული საკვირაო სკოლის პედაგოგებმა და ქ. შტუტგარტის ქართული კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლმა „კოლხეთი“.

დამსწრე საზოგადოებას დედაენის დღე მიულოცეს საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გოჩა ჯავახიშვილმა და მწერალმა დათო ტურაშვილმა.

პარიზის ქართულმა ასოციაციამ „თამარიონი“ დედაენის დღე იზეიმა

14 აპრილს, ქ. პარიზში, ლუქსებურგის ბაღის „მუსიკის კიოსკში“, ქართული ასოციაციის „თამარიონი“ (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ანტონ კანდელაკი) ორგანიზებით დედაენის დღის აღსანიშნავად კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ასოციაციასთან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა, რომელიც მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარდგა.

სომხეთის ქართულმა სათვისტომომ დედაენის დღე აღნიშნა

14 აპრილს, სომხეთის ქართულ სათვისტომოსთან „ივერია“ არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში დედაენის დღე აღინიშნა. სათვისტომოს პრეზიდენტმა, სვეტლანა ნამჩევაძემ მოსწავლეებსა და მშობლებს დედაენის დღე მიულოცა და წინაპრებისგან გადმოცემული საუნჯის თვალისჩინივით გაფრთხილება უსურვა. ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე მდგომმა ქართული ენის პედაგოგებმა ისაუბრეს დედა ენის ისტორიაზე, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე და ქართული საზოგადოების მიერ ქართული ენის სტატუსის დასაცავად გამართულ საპროტესტო გამოსვლებზე. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. ასევე, ჩატარდა კალიგრაფიული კონკურსის შესარჩევი ეტაპი.

ფლორენციის ქართულმა საკვირაო სკოლამ დედაენის დღე აღნიშნა

14 აპრილს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი რეზო ჭეიშვილი) დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილი ჩატარდა.

ნიუ-იორკში ვიქტორ სირელსონის 80 წლის იუბილე აღინიშნა

19 აპრილს, ქ. ნიუ-იორკში, აშშ-ში პირველი ქართული კულტურის ცენტრის Dancing Crane Company - Georgian Cultural Center დამაარსებლის, ვიქტორ სირელსონის 80 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. ვიქტორ სირელსონს იუბილე მიულოცა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა მაია ბართაიამ და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, ასევე, უცხოეთში საქართველოს შესახებ ცნობადობის გაზრდასა და აშშ-ში მცხოვრები ქართველი თანამემამულეთათვის ქართული ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა. გენერალურმა კონსულმა კულტურული ცენტრის დამფუძნებელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტატინიდის მისალოცი წერილი გადასცა.

Dancing Crane Company 1996 წლიდან აქტიურად მოღვაწეობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. აქ ქართველ ემიგრანტები ეუფლებიან ქართულ ცეკვას, სიმღერას, სასცენო ხელოვნებას და მონაწილეობას იღებენ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

საქართველოს ელჩმა ბაზელის საკვირაო სკოლის მოწაფეებს დედაენის დღე მიულოცა

20 აპრილს, ქ. ბაზელის საბავშვო ბიბლიოთეკაში, ქართულმა საკვირაო სკოლამ „ნაკადული“ დედაენის დღის აღსანიშნავად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ - ფარგლებში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „ქართული ზღაპრები ემიგრანტი ბავშვებისათვის“ გამართა.

ღონისძიებაზე მოწვეულმა ქართველმა მწერლებმა ლელა ცუცქირიძემ და მარიამ წიკლაურმა შვეიცარიაში მცხოვრებ პატარებს ქართული ზღაპრები წაუკითხეს. ღონისძიებას ესწრებოდა შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რევაზ ლომინაძე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ მყოფი პატარა თანამემამულეებისათვის, ქართული იდენტობისა და კულტურის შესანარჩუნებლად ამ სახის პროექტები და ინიციატივები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

თესალონიკის ქართულმა საკვირაო სკოლამ დედაენის დღე აღნიშნა

20 აპრილს, ქ. თესალონიკის ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი სოფო ხელაშვილი) დედაენის დღე აღინიშნა.

მილანში ქართული ფილმების ჩვენება გაიმართა

20 აპრილს, ქ. მილანში, სან ფედელეს აუდიტორიუმში, ქართულ-იტალიური კულტურული საზოგადოების „სამშობლო გულით სატარებელი“ ხელმძღვანელის ნუნუ გელაძის ინიციატივით, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ 2024 წლის გამარჯვებული პროექტის „ქართული კინოს რეტროსპექტივა“ პრეზენტაცია და ჩვენება. ნაჩვენები იქნა ქართული ფილმები „ნატვრის ხე“ და „მონანიება“.

საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა საზოგადოების ხელმძღვანელმა ნუნუ გელაძემ. მან მოკლედ ისაუბრა ხსენებული პროექტის შესახებ და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მიწვეული სტუმრები: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი მუხრან გულაღაშვილი და ქ. მილანში საქართველოს გენერალური კონსული ნატალია კორძაია.

ნუნუ გელაძემ მადლობა გადაუხადა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობისათვის. მადლიერება გამოხატა, ასევე, იტალიელი კინოდოკუმენტალისტისა და კინომცოდნეს, მაურიციო მინელას მიმართ, რომელმაც მის პირად კინო-არქივში დაცული 15 ქართული ფილმიდან 6 ფილმი პროექტს საჩვენებლად გადასცა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა მუხრან გულაღაშვილმა და უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში გაწეული სამსახურისთვის აღნიშნული პროექტის ინიციატორსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წევრები, იტალიელი კინომოყვარულები, ქართული კინოს ცნობილი წარმომადგენლები ზაზა კოლელიშვილი და ნათია გოგოჭური, ასევე დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის და გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები.



ანსამბლი „ივერიელები“ კუნძულ კრეტაზე გამართულ ღონისძიებაზე წარდგა

20-28 აპრილს, ქ. ათენში, პირეოს სანაპიროზე, პასალიმანში, ტრადიციულად კუნძული კრეტას ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ათენის ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებულმა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ივერიელები“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი შმაგი ჯიმშერაშვილი), რომლის დამწყები წევრებისთვის ეს სადებიუტო გამოსვლა იყო.

ათენში ცეკვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

21 აპრილს, ქ. ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით, ათენის თეატრში „კნოსო“ ცეკვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ქორეოგრაფიული და საბალეტო სკოლების წარმომადგენლებმა და ათენის მუსიკალური სტუდიის მომღერლებმა. მათ მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა და სიმღერებმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. კონცერტი გახსნა მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიამ Maka Ballet Studio, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის - „იხვის სამაგელი ჭუჭული“ - მიხედვით დადგმული საბავშვო ბალეტით. ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით ჯალაღანია, კონსული გელა ჯაფარიძე, ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქართველი ემიგრანტები და მოწვეული ბერძენი სტუმრები.

დუბლინის საკვირაო სკოლამ „ლამპარი“ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

21 აპრილს, შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ჩვენ, როგორც ნორჩი მკვლევარები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისა და კულტურის ცენტრების ხელმძღვანელებმა, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. კონფერენციის მონაწილეებს შორის იყვნენ: ქ. დუბლინის საკვირაო სკოლის „ლამპარი“ მოსწავლეები ლიზი ზარიძე, ტასო მანგოშვილი და ანასტასია ლობჟანიძე. მათ კონფერენციაზე წარადგინეს პროექტი „არქეოლოგიური შენობის რესტავრაცია - ისტორია“.

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისა და კულტურის ცენტრების
ხელმძღვანელებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს

გიწვევთ

2024 წლის 21 აპრილს 14:00

შ. შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტის
„მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ - "ჩვენ, რეგორც ნორჩი მკვლევრები"

შემაჯამებელ კონფერენციაზე

კონფერენციაზე იქნება Zoom ჩართვა
თბილისი სადგურის მოედანი №2 მე-3 სართული
რეგისტრაციაა 13:30
საკონტაქტო ტელ: 557288733

შვედეთის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ნერგები“ დედაენის დღე აღნიშნა

21 აპრლს, ქ. სტოკჰოლმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში „ნერგები“ დედაენის დღე აღინიშნა. ქართულ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები, წაიკითხეს ლექსები, ასევე, ისაუბრეს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების როლზე უცხოეთში არსებულ ქართულ თემებში მშობლიური ენის სწავლებისა და შენარჩუნების საქმეში.

ქართველი ემიგრანტების შეხვედრა მწერალ ბელა ალანიასთან

21 აპრილს, ქ. სტამბოლის ქართული ენის ცენტრის მიწვევით და ორგანიზებით გაიმართა თურქეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლების შეხვედრა მწერალ ბელა ალანიასთან. ავტორმა ემიგრანტებს წარუდგინა პოეტური კრებული „გული ხელით დამქონდა“, ასევე მისი თაოსნობით გამოცემული წიგნი აფხაზეთზე „სადაც სახლი მელოდება“, რომელშიც 137 ავტორის შემოქმედებაა თავმოყრილი. ბელა ალანიამ ლექსებთან ერთად მსმენელს გააცნო პროზაული ჩანახატები და მოთხრობები.

დედაენის დღესთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ცენტრის დირექტორმა, გოდერძი მახარაძემ. დედაენის დღისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს სამედიცინო ტურისტული კომპანიის დირექტორმა, ექიმმა და პოეტმა მელანია ბერაძე-თურქმენმა, პოეტმა ირმა სარაულმა და სტამბოლში მოღვაწე სხვა ემიგრანტმა პოეტებმა. წიგნების გაყიდვით შემოსული თანხა მთლიანად გადაერიცხა ფონდის „ქველმოქმედი-2015“ ხელმძღვანელს, იამზე გორგოტაძეს, ქ. ოზურგეთის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის დასახმარებლად.

შეხვედრა ქუვეითის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

21 აპრილს, ქუვეითის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ნოშრევან ლომთათიძემ ქუვეითში მცხოვრებ თანამემამულეებთან შეხვედრა გამართა. საქართველოს ელჩმა ისაუბრა ქუვეითთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით საელჩოს სამოქმედო გეგმებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს განვითარების პროცესში დიასპორათა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვა საელჩოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ქუვეითში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის აქტუალური საკითხები, გამოიკვეთა მათთვის საინტერესო პრაქტიკული მნიშვნელობის თემატიკა და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები. შეთანხმდნენ, რომ მსგავსი სახის შეხვედრები საქართველოს საელჩოში მომავალშიც რეგულარულად გაიმართება და რომ საელჩო მზადაა სრული მხარდაჭერა აღმოუჩინოს ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს.

ლონდონში ანნა სტაინჰაუზ-კანდელაკის ნახატების გამოფენა გაიმართა

23 აპრილს, ქ.ლონდონში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოში, ლონდონში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ანნა სტაინჰაუზ-კანდელაკის ნახატების გამოფენა გაიმართა.
გამოფენას, რომელიც ძირითადად ქართულ თემატიკას ეძღვნებოდა, ბრიტანულ-ქართული საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ.
საქართველოს საელჩო ტრადიციულად მართავს გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები ქართველი მხატვრების გამოფენებს და აქტიურად ეწევა მათი შემოქმედების პოპულარიზაციას.

ანსამბლი „საქართველო“ თესალონიკში გამართულ ფესტივალზე წარდგა

25 აპრილს, ქ. თესალონიკში, ამბელოკიპის რაიონის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თესალონიკის ქართულმა საზოგადოებამ „საქართველო“ (ხელმძღვანელი ელგუჯა მინაძე) და მასთან არსებულმა, ამავე სახელწოდების ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა. ანსამბლი „საქართველო“ უკვე მე-15 წელია წარმატებით გამოდის თესალონიკის ამბელოკიპის რაიონის ფესტივალზე.

ნიუ-იორკში ბავშვთა საქველმოქმედო ფესტივალი გაიმართა

27 აპრილს, ქ. ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრმა აშშ-ში Dancing Crane Company (ხელმძღვანელები ვიქტორ და ლიკა სირელსონები) ბავშვთა საქველმოქმედო ფესტივალს - „ხორუმი ქართული ცეკვაა“ - უმასპინძლა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში არსებულმა, ქართული კულტურის რამდენიმე ცენტრმა.

საზეიმო კონცერტი მანჰეტენზე, Hunter College-ის თეატრში გაიმართა. ქართული კულტურის ცენტრები მაყურებლის წინაშე მაღალპროფესიული წარმოდგენებითა და საკონცერტო ნომრებით წარდგნენ.

ფესტივალს დაესწრნენ ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული მაია ბართაია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიცერი ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში აკაკი ხვედელიძე და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ეთერ პაპიაშვილი.

ათენში საერთაშორისო ფესტივალი „პისანკას ფერები“ გაიმართა

28 აპრილს, ქ. ათენში, სინდაღმის მოედანზე, კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერისა და განვითარების საზოგადოების „ტრემბიტა“ ორგანიზებით, საერთაშორისო ფესტივალი „პისანკას ფერები - პისანკას ხე“ (PISANKI COLORS - PISANKOVE TREE) გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებულმა, დავით გურამიშვილის სახელობის საკვირაო სკოლამ. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა აღსაზრდელებს პისანკას უძველესი ხელოვნება - სააღდგომო კვერცხების მოხატვა და ორნამენტებით გაფორმება ასწავლეს. ასოციაციასთან არსებული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ივერიელები“ მაყურებლის წინაშე ქართული ცეკვებითა და სიმღერებით წარდგა და მაყურებლის მოწონება და ოვაციები დაიმსახურა.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO